ვინც დაიფიცა ალლაჰის გარდა სხვაზე, ის ჩავარდა ურწმუნოებაში ან ჩაიდინა შირქი

აბდულლაჰ იბნ უმარი (ალლაჰი იყოს მისით და მისი მამით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ მან გაიგონა, თუ როგორ თქვა ერთმა კაცმა: „არა, ქააბას ვფიცავ!“ იბნ უმარმა მიუგო: „ალლაჰის გარდა არავინ არ უნდა მოიხსენიოთ ფიცში, რადგან მე გავიგონე შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ვინც დაიფიცა ალლაჰის გარდა სხვაზე, ის ჩავარდა ურწმუნოებაში ან ჩაიდინა შირქი».

მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ვინც ალლაჰის, მისი სახელებისა და თვისებების გარდა სხვა რამეზე დაიფიცებს, ის ჩავარდა ურწმუნოებაში ან ჩაიდინა შირქი. ეს იმიტომ, რომ ფიცი ნიშნავს ფიცის ობიექტის განდიდებას, ხოლო განდიდება მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის. ამიტომ, ფიცი უნდა აღსრულდეს მხოლოდ ალლაჰისთვის, მისი წმინდა სახელებისა და თვისებების მიმართ. ეს ფიცი მცირე შირქს განეკუთვნება. თუმცა, თუ დამფიცებელი განადიდებს იმას, რითიც ფიცს დებს, ისევე როგორც განადიდებენ უზენაეს ალლაჰს ან კიდევ უფრო მეტად, მაშინ ასეთი ფიცი დიდ შირქს განეკუთვნება.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3359

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee